გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისათვის დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცუვ-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილისს ნეშტი პოეტის **თ. ნიკოლოოზ ბარათაშვილისა**. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ, რკინის გზის ვაგზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, მღვთის-მშობლის ეკკლესიაში.

## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.


სახელმწიფო თეატრი

კვირას, 25 აპრილს,

ქართულ თეატრის არტისტი ქალი

**ბ. ა. ავალიშვილისა**

გაჰმართავს წარმოდგენას,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი: ქ.ქ. ციციშვილისა, კორინთლისა და ბ. გ. დ. ჟ—ლი

წარმოდგენილი იქნება

ა ხ ა ლ ი პ ი ე ს ა

**დრონი მეფობენ**

დრამა 5 მოქ. თხზ. გულისაშვილისა

მოთამაშენი: ქ. ქ. ავალიშვილისა, არლანი, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, ცაგარელი მჭედლიშვილი ‍ჵ სხ.

დ ა ს ა ს რ უ ლ

**დივერტისმენტი**

წაკითხულ იქნება

ნიკ. ბარათაშვილის ლექსები

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ


## დრომდის

„რა მიზეზია, რომ „ივერია“ გაჩუმებულა და თავის აზრს არ ამბობს ბანკის კრების შესახებ? გაზეთი ხომ დღიურს ინტერესებზეც უნდა ლაპარაკობდეს, თუ სურს თავის დანიშნულება შეასრულოს!“ ამ ნაირის საყვედურით მოიქცა ჩვენთან ერთი ცნობილი მოღვაწე.

საყვედური დიაღ საფუძვლიანია; მაგრამ ცოტა რამ სიმართლე, უთუოდ, ჩვენც გვექნება—რისთვისაც გაჩუმებულვართ ჯერ.

ჩვენ გვსურს გულ-დამშვიდებით მოვისმინოთ ყოველი გარემოება, ჩავუკვირდეთ თითოეულ პარტიის მოქმედების აზრს, გამოვიკვლიოთ მოტივი და შინაარსი ამ გაცხარებულის ბრძოლისა.

მხოლოდ მაშინ წარმოვსთქვამთ ჩვენს საერთო შთაბეჭდილებას, ჩვენს აზრს ამ საგანზედ.

მანამდის-კი ერთს რამეს აღვნიშნავთ.

ვინც კრებაზედ ესწრება, ის კარგად ჰხედავს, თუ რა საზღვარზედ გადასული კამათობაა ჩამოვარდნილი პარტიებს შორის. ეს კამათობა, გარდამეტებული სიფიცხე, რასაკვირველია, დიდად უშლის ხელს, რომ საზოგადო საქმეები უკეთესად იყვნენ გარჩეულნი. პირველი და აუცილებელი კუთვნილება ნამდვილის საზოგადო მოღვაწისა—არის მშვიდობა სულისა.

„გული წმიდა დაბადე ჩემთანა, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“, ამბობს წინასწარმეტყველი. დიაღ, სანამდის ამ საჭირო თვისებით არ აღიჭურვება მოღვაწე, მანამდის ყოველი მეცადინეობა, შრომა, სურვილი, თუ სავნებელი არ იქმნა ქვეყნისთვის—სასარგებლო ხომ მაინც არ იქნება!

ვინ იტყვის, რომ პარტიულ ბრძოლას თავისი კარგი მხარე არა ჰქონდეს! ვინ იტყვის, რომ ეს ბრძოლა არ ათხიზლებდეს და არ ახალისებდეს ადამიანის ბუნებას!

მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც!

როდესაც პარტია თავის დრობით მიზნის მისაღწევად, ისეთს ორმოს ამოსთხრის მოწინააღმდეგთა შორის, რომ ველარა სხვა რომელიმე საქმისთვის ერთად მოქმედება ველარ შეიძლება—ეს მძიმე შეცოდება და დანაშაულობაა ერის წინაშე! ასეთი გამწვავებული დამოკიდებულობა ერთ მამულისშვილთა შორის, ნამეტურ მაშინ, როდესაც საქმე ისეთ პატარა და ახალ ფეხ ადგმულს ერს შეეხება როგორც ჩვენსას—ვერასფერი მოსაწონია. ხოლო მოღვაწენი, რომელთაც ბრალი დაედებათ, დასაგმობნი და პასუხის მგებელნი შეიქმნებიან ქვეყნისა და ისტორიის სამსჯავროს წინაშე.

მეველე

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 22 აპრილს, გაემგზავრნენ განჯას რამდენიმე პატივცემულნი ქართველნი და ნათესავნი ჩვენის პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა მისის ძვირფასის ნეშტის გადმოსასვენებლად ტფილისში.

*** რედაქციას მრავლად მოსდის დეპეშები ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდამ და გვთხოვენ გვირგვინები დავამზადოთ ზედ-წარწერით პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის კუბოს შესამკობად. სამწუხაროდ დრო ცოტა-ღა რჩება და ძნელია ყველა დავალება შესრულებულ იქმნას დროზედ.

*** დღეს დილის 6 საათზედ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი წაბრძანდა სათოსტო მატარებლით კახეთში სამწყსოს დასათვალიერებლად. მასი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიბრძანდება ტფილისიდგან ორხევს, ვაზიანსა, გომბორს, შუა მთის მონასტერს დაათვალიერებს და საღამოს ექვს საათზე თელავს მიბრძანდება. მეორე დღეს დაათვალიერებს თელავის ეკკლესიებს და სასწავლებლებს. 4 საათზედ წაბრძანდება სოფელ აწყურს. 26 აპრილს აწყურიდგან წაბრძანდება ალავერდის ტაძარში, შემდეგ ახმეტას და თიონეთში. 27 აპრილს, დილის 5 საათზედ, თიონეთიდგან უკან დაბრუნდება თელავზე და წაბრძანდება ს. ენისელში, გრემსა, საბუესა, შილდასა და ყვარელში.

28 აპრილს, დილის 7 საათზედ, ყვარელიდგან წაბრძანდება ისევ თელავს, იქიდგან სოფელ კურდღელაურს, წინანდალსა, კონდოლს, აკურასა, ვაჩნაძიანსა, ქალაურს, შაშიანს, ურიათუბანსა და ველისციხეში. 29 აპრილს, დილის 7 საათზედ, ველისციხედგან ბაკურციხეზე წაბრძანდება ქ. სიღნაღს, ს. გურჯაანს, ბაკურციხეს, კარდანახსა და ანაგაში. 30 აპრილს დაათვალიერებს ბოდბის წმ. ნინოს ტაძარს და ნაშუადღევის 3 საათზედ წაბრძანდება ხირსის წმ. სტეფანეს ტაძარში. იქიდგან წამობრძანდება ტფილისს.

*** გუშინ, 23-ს აპრილს, 1 საათზედ და 20 წამზედ, მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი ბაქოს წაბრძანდა.

*** დღეს, 24 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში დანიშნულია საგიმნასტიკო ვარჯიშობა.

*** გუშინ, 22 აპრილს, საღამოს 7 საათზე იყო წლიური კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. წაიკითხეს და დაამტკიცეს წლიური ანგარიში სათავად-აზნაურო სკოლისა. შემდეგ კამათობა ჩამოვარდა იმის გამო, რომ შარშან გადაწყდა სარევიზიო კომისია ჩავირიოთ, რომელმაც განიხილოს სკოლის მდგომარეობა და თავისი აზრი მოახსენოს კრებასაო. ამ რევიზიის შესახებ შარშანდელ კრების ოქმში არაფერია მოხსენებული და არც სარევიზიო კომისიის მოხსენება სჩანსო. შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას მომავლის წლისათვის. ამ ხარჯთ-აღრიცხვის გამო ხანგრძლივი სჯა-კამათობა გაიმართა. მისი დამტკიცება და აგრეთვე სხვა საგნების განხილვა დაინიშნა დღეს, 24 აპრილს, საღამოს 7 საათზედ.

*** 23 აპრილს ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა ბანკისა 1893 წლისათვის, შედგენილი ზედამხედველის კომიტეტის მიერ. ორ ნაირი ხარჯთ-აღრიცხვა იყო წარმოდგენილი: ერთი იმ შემთხვევისათვის, თუ სამინისტრომ შეიწყნარა თხოვნა წინანდელის კრებისა და გააუქმა დივიდენდი, ხოლო მეორე,—თუ კვლავ დარჩა დივიდენდი. ამ საგანზე ხანგრძლივი ‍ჵ საკამოდ ცხარე ბაასი გაიმართა. უფრო დივიდენდის გამო ჩამოვარდა საინტერესო კამათობა. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, ხოლო უარ-ჰყო ესრედ წოდებულის ავანსით ძლევა ბანკის მოხელეთათვის ჯამაგირის $25^0/_0$-სა დივიდენდის ანგარიშში.

შემდეგ განხილულ იქმნა მოხსენება მმართველობისა წმინდა მოგების იმ ნაწილისა, რომელიც დანიშნულია საყოველთაო საჭიროებისათვის. ამ მოხსენების გამოც მცირე ხანს არ იყო სჯა. ბოლოს დამტკიცებულ იქმნა ეს მოხსენებაც. სულ ყოფილა 1892 წლის განმავლობაში 46995 მან. 47 კაპ. წმინდა მოგება საზოგადო საჭიროებისათვის. აქედამ მისაცემია სათავად-აზნაურო და წინამძღვრიანთ სკოლებისათვის 29,033 მ. 33 კ., 12,000 მან. დახარჯულია ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, დანარჩენი 6,000 მანეთამდე გადაიდო კახეთის რკინის გზის გამოკვლევისათვის.

*** დედათა ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები დაიწყობა 24 მაისს. ეგზამენები იქნება აგრეთვე ენკენისთვეშიაც.

*** ჩვენს გაზეთში ამას წინად იყო დაბეჭდილი, რომ ქობულეთს ახლო რკინის გზის ერთს დარაჯს, ფიჩხაძეს, ვიღაც ავაზაკები დაეცნენ და გასათხოვარი ქალი მოსტაცესო. ბათუმის ოლქის უფროსი იუწყება, რომ ამ საქმეში დამნაშავენი აღმოჩნდნენ: რკინის გზის მოსამსახურენი გერასიმე ჩხარტიშვილი, ტატო სიორიძე და ძმანი სიო და ყარამან მოლქვაძენი. დამნაშავენი შეიპყრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს. ქალი-კი დედ-მამას დაუბრუნეს.

*** ფასანაურსა და მლეთს შუა გზა ძლიერ დაზიანდა წყალ-დიდობის გამო. ყაზბეგთანაც ქვის ზვავი ჩამოწვა და გზა წაახდინა. კავკავის გზით ფოსტისა და ხალხის მიმოსვლა შესწყდა.

*** წელს მთელ რუსეთში 262,000 კაცი უნდა გაიწვიონ ჯარში. მათ შორის კავკასიიდგან—2400.

*** მტკვარი თან-და-თან მატულობს. წყალმა 1 საჟენზედ მეტი აიწია. ქალაქის ხუროთ-მოძღვარნი ძლიერა ცდილობენ მადათოვის კუნძული გაამაგრონ, რომ წყალმა არ წალეკოს.

*** ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარე თ. ნ. ამატუნი, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თავის სახლშია დაპატიმრებული ოლქის სასამართლოს გამომძიებლის ბ-ნ დანილოვის მიერ. გამომძიებელს ჩვენება ჩამოურთმევია თ. ამატუნისათვის, და მოუთხოვნია, 50,000 მანეთის თავდებობა წარმოადგინე შვიდის დღის განმავლობაში, თორემ მეტეხის საპატიმროში გაგზავნიო. თ. ამატუნს უთქვამს, მე თვითონ უვალო მამული არა მაქვს და ჯერ ვერც თავდებს წარმოვადგენო.

*** ხუთშაბათს, 22 აპრილს, ქალაქის გამგეობამ ვაჭრობა მოახდინა, რომლითაც იჯარით უნდა გაცემულიყო ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ნაგვის გაზიდვა ქალაქ გარედ. ყველაზე ნაკლები ფასი, 10,500 მანეთი წელიწადში, ითხოვა ბ-ნმა კილიტჩევმა და იჯარა იმას დარჩება.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნი: Историко-археологическіе очерки Метехскаго храма, Г. Садзагелова-Иверіели. ამ წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი და ნაამბობი, როგორც ამ ტაძრის გარეგანი სახე, აგრეთვე მისი ისტორია და თავგადასავალი. აღწერილია ამასთანავე და განმარტებული წარწერანი კედლებისა, ხატებისა და სხვა საეკლესიო სამკაულისა. ეს პატარა წიგნი, რომელიც შეიცავს სულ 50 გვერდს, ფრიად საინტერესოა ჩვენის ისტორიისა და არხეოლოგიის მოყვარულთათვის.

*** სოფ. ჩუნეში (ქუთაისის მაზრა): მართალია ყოველ მხრიდან იწერებიან გაზეთებში, საშინელი ზამთარიაო, მაგრამ ამისთანა დაუსრულებელი ზამთარი, როგორც ამ იმერეთშია, არა გვგონია, კიდევ იყოს სადმე. მოხუცებულნი ამბობენ, მარტში არ გვინახავს ამის მეტად თოვლიო, და წელს-კი აპრილიც ზამთრობას აპირებს. აპრილის 8-ს მოვიდა ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი, რომ თითქმის ზამთარშიაც არ ყოფილა. წვიმებს ხომ ნულარ პრძანებთ, სულ განუწყვეტლად სწვიმს. დღეს რომ დაიწყებს წვიმას, მანამ ერთი სწორი არ შესრულდება, გამოდარებას ნულარ ელით. ამ დაუსრულებელ ზამთრის გამო დიდი გაჭირვება მიადგათ მცხოვრებლებს საქონლის უსაჭმლობით. ბევრს კიდევაც დაეხოცათ საქონელი სიცივით და სიმშილით. იმისთანა სიძვირეა ჩალისა, რომ ზოგი მანეთს მისცემს კონაში, ოღონდ იშოვოს. აქ საბძლებს ზოგნი ჩალით ჰხურამენ; ეხლა გაჭირვებით და შიშით, საქონელი არ დაგვეხოცოსო, საბძლებსაც-კი გადაამრეს ჩალა. ასეთს და ამდენ ნაირს გაჭირვებაშია ეს სოფელი და უკეთესობას როდის ვეღირსებით, — ეს ღმერთმა უწყის.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღ. მაზრა): ჩვენმა სოფლის საზოგადოებამ რის ვაი-ვაგლახით ერთი სამრევლო სკოლა დაარსა შარშან, 1892 წელს, და მიუხედავად იმისა, რომ დიდის ხნის სურვილით იყო დაარსებული, მაინც დღე-ნაკლები გამოდგა დ იმავე წელს დაიკეტა. ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი გულგრილობა და დაუდევრობა გახლავთ და სხვა არაფერი! როგორ, მთელის საზოგადოებისაო? იკითხავთ. არა, საზოგადოების სურვილი რომ არა ყოფილიყო, არც დაარსდებოდა. ბრალი თამამად შეგვძლია იმათ დავდოთ, რომლებსაც მთელს საზოგადოებაში დიდი ხმა აქვთ და მეთაურებათა სთვლიან, სოფელში არიან და სოფელს-კი არას არგებენ. პირიქით თავიანთის პირადის სარგებლობის გულისათვის საზოგადო საქმეებს უთავბოლო ლაპარაკით და მითქმა-მოთქმით ბოლოს უღებენ.

*** იქიდამე: ქიზიყის ხალხს ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში რაღა კალიისათვის სცხელოდა, მაგრამ ეხლა ამბავი მოგვივდა, რომ ელდარის მიდამოში საშინელი მრავალი კალია აღმოუჩენია იქაურს ბოქაულს და ხალხს იბარებს. ნეტა ამ საწყალ მუშა ხალხს შრომის ფასი მაინც მიეცეს.

*** გორი: 20 აპრილს გორში სამწუხარო ამბავი მოხდა. იოსებსა და ბერო გორგაძეებს ტივები მოჰქონდათ ტფილისისაკენ. ადიდებულმა წყალმა გორის ხიდს დააჯახა და ტივი დაიშალა. იოსებ გორგაძე დაირჩო და ბესო-კი ცალ ტივზე შერჩენილი გამოიყვანეს. არ გასულა ნახევარ საათი, რომ იმავე ხიდს დაეჯახა მეორე ტივი და შიო მიზნაშვილი წყალმა იმსხვერპლა, მეორე მისი ამხანაგი-კი გადაარჩინეს. დამრჩვალთა გვამები ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** ს. სადმეტრაო (ქუთაისის მაზრა): ამ ერთის თთვის წინად „ივერიაში“ იყო ახალ ამბად ნაამბობი ჩვენი გაჭირვება სხვა-და-სხვა ავაზაკების წყალობით. გვეგონა, ღმერთმა გვიშველა, ეხლა-კი გაიგებს, ვისაც ეს საქმე შეეხება, და გაჭირვებისაგან დაგვიხსნისო, მაგრამ, ვითომც აქ არაფერიაო, ყური არავინ შეიბერტყა. ქურდობა ისევ ისე გავრცელებულია აჯამეთის ტყის გარეშემო მდებარე სოფლებში, როგორც წინად იყო. შეუდღისას იპარავენ საქონელს და ხმის ამომღები არავინ არის. ამას წინად ერთი ცხენი აქ დაიკარგა და ერთიც ს. როკეთში. სასურველია, ადგილობრივმა ბოქაულმა მიაქციოს ყურადღება ჩვენს უბედურ მდგომარეობას და ამის მიზეზი აჯამეთის ტყის მცველთა შორის მოძებნოს.

*** მირუღა: 21 აპრილს, ღამის 11 საათზე 45 წ., ორი საქონლის მატარებელი № 40 და 37 ერთმანეთს დაეჯახნენ. ოცი ვაგონი და ორი ორთქლ-მავალი დაზიანდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** სოფ. ტყიბული: 18 აპრილს აქციონერთა ქვის-ნახშირის მადანში ცეცხლი გაჩნდა და ეს ორი დღეა, რაც აქრობენ. ნახშირის გამოზიდვა შეჩერებულია. მადანში თურმე დიდი ხანია ცეცხლი ყოფილა და ცოტ-ცოტად ეკიდებოდა ნახშირს.

*** 22-ს აპრილს 11 წლის ყმაწვილი ივანე ანდრიას ძე ტალმასოვი მტკვარზედ ხეებს იჭერდა, უცბად წყალში ჩავარდა და ირჩობოდა მალე მიეშველნენ და გამოიყვანეს.

---

## ანგარიში

**1892 წლის აპრილის პირველიდან 1893 წლის აპრილის პირველამდე გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.**

### ა) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

საანგარიშო წლის დამლევს, ე. ი. აპრილის პირველისათვის 1892 წლისა ხსენებულ სასწავლებელში ირიცხებოდა 164 მოწაფე. მათ შორის:

83 პანსიონერი, 81 გარედგან მოსიარულე, 30 საზოგადოების სრულ ხარჯზე, 46-ში თითო იძლეოდა 100 მ.ნ. წ., 1-ს შემოჰქონდა 150 მან., 6-ში თითო იძლეოდა 200 მან 26 მოწაფე იყო მოსამზ. კლ. I განყოფილებაში; 38—მოსამზ. კლ. II განყ. 38—მოსამზ. კლ. III განყ. 27—მოსამზ. კლ. IV განყ. 20—პროგ. პირვ. კლასში; 12 პროგ. მეორე კლასში და 8 პროგ. მესამე კლასში.

ეგზამენები წარსულის წლის მაისში და ივნისში მოხდა მხოლოდ მოსამზადებელ კლასის მეოთხე განყოფილებაში ჩვეულებისამებრ და პროგიმნაზიულ კლასებში. სხვა განყოფილებებში წლიურ ნიშნების ძალით გადავიდენ მოწაფეები ერთიდან მეორეში. ეგზამენების შემდეგ ზოგიერთა მოწაფეებს მიეცათ ნება ხელმეორედ ეგზამენების დაჭერისა რამდენსამე საგანში აგვისტოში. ამ ორისავე ეგზამენის შემდეგ კლასიდან კლასში და განყოფილებიდან განყოფილებაში გადავიდა 133 მოწაფე, ანუ $81^0/_0$ (წინა წელს $77^0/_0$).

83 პანსიონერში გადავიდა 72, ანუ $86,_7{}^0/_0$, 81 გარედან მოსიარულეში—61, ანუ $75,_8{}^0/_0$. საანგარიშო წელსაც დამტკიცდა წარმატება პანსიონერებისა გარედან მოსიარულეებთან შედარებით.

საანგარიშო წელს, თანახმად შარშანდელის კრების გარდაწყვეტილებისა, გაიხსნა მეოთხე კლასიც და ამ სახით ამ ჟამადა გვაქვს სრული ოთხკლასიანი პროგიმნაზია ოთხის მოსამზადებელ კლასითურთ.

ამავე წელს შემოვიდა თხოვნა 75 ყმაწვილის მიღებისა სკოლაში და გამოცხადდა მისაღებ ეგზამენებზე მხოლოდ 68. 4-ს უარი ეთქვა მოუმზადებლობის გამო, 1-ს უვაკანსიობის გამო და 63-კი მიღებულ იქმნენ. 1892 წ. სექტემბრისათვის გამოცხადებული იყო საზოგადოების სრულ ხარჯზე მიღებისათვის მხოლოდ ერთი ვაკანსია. ეს ვაკანსია ჯერისამებრ დანიშნული იყო ტფილისის მაზრისათვის და ჩაირიცხა კიდეც ამ მაზრიდან რომანოზ გიორგის ძე ჯაბადარი. თუმცა საზოგადოების ხარჯზე მხოლოდ ერთი ვაკანსია იყო, მაგრამ 40-მა შემოიტანა თხოვნა. ამათ შორის 18 აცხადებდა, თუ საზოგადოების ხარჯზე არ მიგვიღებთ, ათ თუმნიან პანსიონერებში ჩაგვრიცხეთო. ამ 18-ს გარდა 11 კიდევ თხოულობდა 100 მანათად მიღებას და 2—200 მანეთად. სექტემბერში ათ-თუმნიან პანსიონერების ადგილი მხოლოდ ცხრა განთავისუფლდა, მაგრამ მთხოვნელი იმდენი იყო ამ ფასად მიღებისა, რომ კომიტეტმა მიიღო მხედველობაში მშობელთა უკიდურესი საჭიროება, იხმარა უკანასკნელი ღონე, მოუმატა საწოლ ოთახს ორი პატარა ოთახი და რვის მაგიერად 22 მიიღო ათ-თუმანში და ერთი ოც-თუმანში (მეორემ ოც-თუმანში მიღების მთხოვნელმა პანსიონში შემოსვლა აღარ ისურვა). საანგარიშო წელს სკოლას მოაკლდა 16 მოწაფე. ამათგან 1 გარდაიცვალა, 1 დათხოვნილ იქმნა, რადგან წარმატება არ ეტყობოდა, 1 ტფილისის კადეტის კორპუსში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე, 2-მა თავი დაანება სკოლას სიღარიბის გამო, 1 გამოირიცხა, რადგან დიდხანს სკოლაში არ დადიოდა, 10-მა თავი დაანება სკოლას მშობლების სურვილის თანახმად და ცნობა არა გვაქვს—თუ რომელს სასწავლებელში შევიდნენ, ან შევიდნენ თუ არა.

ამ ჟამად ჩვენ სასწავლებელში ირიცხება 211 მოწაფე. მათ შორის:

96 პანსიონერია, 115 გარედან მოსიარულე, 29 საზოგადოების სრულ ხარჯზეა, 62 ათ თუმნად, 5 ოც თუმნადა. 34 მოსამზ. კლ. I განყოფ. 39 მოსამზ. კლ. II განყოფ. 38 მოსამზ. კლ. III განყოფ. 39 მოსამზ. კლ. IV განყოფ. 23 არის 1 კლასში. 23 არის 2 კლასში. 10 არის 3 კლასში. 5 არის 4 კლასში.

თუ შევადარებთ სკოლაში მოსწავლეთა რიცხვს წლევანდელს წარსულთან, შემდეგს შევამჩნევთ: წლეულს მოწაფეთა რიცხვი წარსულის წლისას 44-ით აღემატება. პანსიონერთა რიცხვს მოემატა 13, გარედან მოსიარულეთა რიცხვს—34. კომიტეტი დარწმუნებულია, პანსიონში ადგილი რომ ყოფილიყო, რიცხვი პანსიონერთა მალე იქნება ერთიორადაც გადაქცეულიყო, რადგან ჩვენი საზოგადოება დიდის დღე უფრო მეტის თანაგრძნობით უცქერის სკოლას. სივიწროვე სადგურისა და საჭიროება სადგურის შენობის შეძენისა განმარტებულია კომიტეტის მიერ ცალკე მოხსენებაში და აქ აღარ გავიმეორებთ. შესანიშნავია აგრედვე, რომ წლეულს სკოლიდან გასულთა რიცხვი ბევრად ნაკლებია წარსულ წლებზედ. შარშან სკოლას მოაკლდა მაგალითად 31 მოწაფე და წლეულს—მხოლოდ 16. ეს იმითი აიხსნება, რომ სკოლამ ეხლა დამთავრებული ხასიათი მიიღო და მასში მოსწავლე მოწაფეთ იმედი ეძლევათ სრულის პროგიმნაზიულ კურსის დასრულებისა. საიმედოდ უნდა ჩაითვალოს აგრედვე, რომ წლეულს განსაკუთრებულმა კომისიამ გადასწყვიტა—ამ გვარი პროგიმნაზიის ხასიათი დაცულ იქმნას ხელ-შეუშლელად და ეს კიდევ უფრო განუმტკიცებს საზოგადოებას ნდობას ჩვენის სკოლისადმი და მისცემს მას საშუალებას მომავალში ჯეროვანი ნაყოფი მოიტანოს.

მომატებამ პანსიონისამ გამოიწვია სავარაუდოდ დადებულ ხარჯზედ მეტი ხარჯი და მეტი ზედამხედველობაც. ეს მეტი ხარჯი სხვათა შორის იმის ბრალიც არის, რომ ხოლერობის დროს სახლის შეკეთებაზედ დაიხარჯა 500 მანეთამდე. აგრედვე შარშან სასწავლებელში 18 პირი მსახურობდა, ეხლა 22 პირი მსახურობს. წლეულს მოემატა ორი მასწავლებელი, ერთი აღმზრდელი და კანცელარია-ბიბლიოთეკის გამგეობა მიენდო ცალკე პირს. მასწავლებელსა და აღმზრდელთა შორის 9-ს დაუსრულებია სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. ამას გარდა საწოლების ცალკე ოთახში გამართვამ საჭიროდ გახადა მეორე ლალას მოწვევა, რამაც აგრედვე იმოქმედა ხარჯის მომატებაზედ.

საანგარიშო წელს სწავლა უფრო გვიან დაიწყეს ჩვენს სასწავლებელში, ვიდრე წინა წლებში, ხოლერის გამო, როგორც სხვა სასწავლებელში. ჯეროვანი სწავლა დაიწყო მხოლოდ ოქტომბრის პირველ რიცხვებიდგან. ჯანმრთელობის საქმე წელს საკმაოდ კარგს მდგომარეობაში იყო. წლევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა, მართალია, ბევრგვარი ავადმყოფობა გამოიწვია, ერთი ჩვენი შეგირდი პანსიონერი პირველის კლასისა ლევან ანდრონიკაშვილი იმსხვერპლა ტვინის ავადმყოფობამ, მაგრამ ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა და ჯანმრთელობაა სასწავლებელში. მართალია, ბავშვები მეტად შევიწროებულნი არიან ეხლანდელს შენობაში და საშიშიც არის, რაიმე გადამდებმა სენმა არ მოიკიდოს აქ ბუდე, მაგრამ სკოლის ექიმის მეცადინეობით, რომელიც ერთგულად და მუყაითად ასრულებდა თავის მოვალეობას, ჯერჯერობით აგვცდა ეს განსაცდელი.

სწავლა საანგარიშო წელს იმავე პროგრამითა და წესით სწარმოებდა, როგორც წარსულ წლებში. მასწავლებელნი ცდილობდენ, რომ მოწაფენი მეტის-მეტად გონებრივ შრომით არ დაქანცულიყვნენ და ამისათვის ზომიერ სამუშაოს აძლევდენ, თვით კლასშივე ავარჯიშებდენ, უადვილებდენ გაკვეთილების მომზადებას და გონების ვარჯიშობას ფიზიკურის ვარჯიშობითა და სიმღერით უადვილებდენ.

დასასრულ, ერთს გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება კრებისა. რაკი ჩვენს სასწავლებელს დამთავრებული ხასიათი ეძლევა, ყოველის ჩვენის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, შევუმსუბუქოთ ტვირთი მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, გავაუმჯობესოთ მათი ყოფა-ცხოვრება და მით უფრო მტკიცედ დავაკავშიროთ იგინი ჩვენს სასწავლებელთან. ერთ-ერთ ამისთანა საშუალებად მიგვაჩნია გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის დაარსება ჩვენს სასწავლებელში მოსამსახურეთათვის. შემდეგში საჭიროება მოითხოვს შედგენილი იყოს სრული შტატი ჩვენის სასწავლებლისა და გარკვეული წესი საპენსიო კასისა. ამ ხანად-კი კომიტეტი ითხოვს 500 მანათს ხსენებულ გამსესხებელ-შემნახველ კასის დასაარსებლად.

### ბ) შემწეობა მოწაფეთ

საანგარიშო წელს კომიტეტი აძლევდა შემწეობას ზოგიერთ სხვა სასწავლებლებში მოწაფეთაც და დახარჯა ამ საგანზედ 714 მანეთი. მაგრამ როგორც წლეულ ისე წარსულ წლებში ეს შემწეობა დროებითი და შემთხვევითი იყო, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეგვიტანია და არა რაიმე მტკიცე საფუძველზე არ იყო დამყარებული. დღითი დღე კი სამწუხარო ხმები ისმის ქართველ მოსწავლეთა ცუდს მდგომარეობაზედ, მატადრე მაღალ სასწავლებში, და კომიტეტსა სურს, ეს შემწეობა უფრო ჯეროვნად აწარმოვოს და ხელი გაუწოდოს არა მარტო იმათ, რომელთაც სხვა-და სხვა შემთხვევის წყალობით პირველთა გზას მიაგნეს, არამედ შეძლებიც ამებრ გაუნაწილოს ეს შემწეობა სხვა-და-სხვა მაღალ სასწავლებლებში მოსწავლეთ. ამისთვის კომიტეტს შეაქვს ხარჯთ-აღრიცხვაში 1500 მან. და იმედოვნობს, რომ საზოგადოებაც სრულის თანაგრძობით მოეპყრობა ამ საქმეს.

---

### ფულის ანგარიში

**მაისის პირველიდან 1892 წ. აპრილის პირველამდე 1893 წ.*)**

წარსულ 1892 წ. მაისის პირველს კომიტეტს ჰქონდა სულ 6275 მან. 50 კ.

**პირველ მაისიდან 1892 წ. აპრილის პირველამდე 1893 წ.**

შემოვიდა: ტფილისის საადგილ-მამულო ბანკიდან 25841 მ., პანსიონერების შესანახი 5402 მ. 20 კ., გარედან მოსიარულეთაგან სწავლის ფასი 305 მ., საწევრო ფული 21 მ., 1892 წლ. იანვრის ბალიდან 700 მ.,**) სარგებელი ბილეთებისა 87 მ. 22 კ., სხვა-და-სხვა 571 მ, 32 კ., სულ 39203 მ. 24 კ.

ამავე დროს დახარჯულა: 1) სკოლის შესანახი: სახლის ქირა 4350 მ., საჭმელ-სასმელი 4162 მ. 84 მ., ჩაცმა-დახურვა 2529 მ. 97 კ., ბიბლიოთეკაზედ 417 მ. 10 კ., საწოლ ოთახებზედ, სამზარეულოზედ და ბუფეტზედ 863 მ. 61 კ., ჯამაგირი მასწავლებლებისა 13392 მ. 43 კ., ჯამაგირი მსახურებს 1347 მ. 79 კ., ხარჯი საავადმყოფოსი 645 მ. 27 კ., გათბობა და განათება 1405 მ. 07 კ., სხვა-და-სხვა ხარჯი 2059 მ. 75 კ., საჩუქარი მასწავლებლებს 900 მ., რემონტი სახლისა 501 მ. 39 კ. სულ 32575 მ. 22 კ., 2) შემწეობა მოსწავლეთა სხვა სასწავლებლებში 714 მ., დარჩა აპრილის პირველისათვის 5914 მ. 02 კ.

სახელდობრ:

ინსპექტორსა აქვს 1017 მ. 92 კ., სახელდახელო ანგარიშზე 1157 მ. 57 კ., საადგილ-მამულო ბანკის ფურცლები (1400 მ. $6^0/_0$-იანი და 2300 $5^0/_0$-იანი) 3690 მ. 60 კ., მათი სარგებელი 47 მ. 26 კ. წინდა-წინ მიცემული სახლის ქირა 67,

---

*) ეს ანგარიში მართალია მაისის პირველამდე უნდა შედგენილიყო, მაგრამ, რაკი წლეულს კრება აპრილში მოხდა, აპრილის პირველამდე შედგა მხოლოდ. რაც შეეხება აპრილს, ამის ანგარიშს დაახლოვებით ვაძლევთ საზოგადო კრებას.

**) დანარჩენი 1057 მან. 5 კაპ. შემოსულია აპრილში და შეტანილია კომერციულ ბანკში.

სულ 5914 მ. 02 კ., დაახლოვებით აპრილში დაიხარჯება 3051 მ.

თავმჯდომარე კომიტეტისა ლ. მაღალაშვილი.

წევრნი: რ. ყაზბეგი
ლ. ვაჩნაძე
ნ. ცხვედაძე
დ. ფავლენიშვილი
ი. მაჩაბელი

## ქუთაისის სამეურნეო განყოფილების კრება.

(წერილი ქუთაისიდამ)

მთელი ყურადღება ქუთაისის სამეურნეო განყოფილებისა მიქცეულია ამ უკანასკნელ დროს ქუთაისის სამეურნეო სკოლაზე, რომლის მოწყობა ერთ დიდ ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს ამ საზოგადოებას. მართალი მოგახსენოთ, ყველა წევრი ქუთაისის სამეურნეო განყოფილებისა დიდის თანაგრძნობით მიევება ამ საქმეს და შეძლებისა-და გვარად, ხელს უწყობდა. მაგრამ ამ სკოლის ნამდვილ სულის ჩამდგმელად და იმის აზრის განმახორციელებლად უეჭველად უნდა ჩაითვალოს ბ-ნი ტ. ხოჯაევი. უნდა ჰნახოთ, რა სიამოვნებით უბრწყინავს ხოლმე სახე ამ პატიოსანს და კეთილს ადამიანს, როცა სკოლის საქმე რიგიანად მიდის, და როგორ დანაღვლიანდება ხოლმე, თითქო პირადი უბედურება ეწიაო, როცა აფერხებს რამე მისგან სათუთად გამოზრდილ ძეს, ე. ი. იმავე სკოლას.

სკოლის სახლი ამ ჟამად დამთავრებულია. მშვენიერი ორ-სართულიანი, სრული, ქვითკირის სახლი გზის პირად გადმოჰყურებს ფერმას და სიამოვნებას ჰგვრის გამვლელ-გამომვლელსა. ეხლა მხოლოდ შიგნით აკლია მოწყობილობა და ზოგიერთ წვრილმან შენობათა აგებაა საჭირო. ამათთვის საჭირო ფული—რვა ათასი მანეთი—კიდევაც დანიშნა მართებლობამ ჩვენის გუბერნატორის შემწეობით და შუამდგომლობით; ამავე საგნისათვის სამეურნეო განყოფილება ოთხას თუმანს მოელის ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან. ამ სახით სკოლა, იმედია, დამთავრდება ამ მოკლე ხანში. სამეურნეო საზოგადოებას დარჩენია მხოლოდ იმ ნორმალურის წესდების, რომელიც მთავრობამ გამოსცა ამ ნაირ სკოლებისათვის, გარემოების-და გვარად, შეცვლა და შეფარდება ჩვენის სკოლისათვის. ამას გარდა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებამ უნდა აირჩიოს სკოლის მზრუნველი და იმისი მმართველი, რომ სკოლა სრულიად მზად იყოს შეგირდების მისაღებად.

ამ სამმა საგანმა შთანთქა, აგერ ორი თთვეა, საზოგადოების ყურადღება და დღესაც არ არის გადაწყვეტილი. ეს სიფრთხილე ადვილი გასაგებია საზოგადოების მხრით, თუ-კი მოვიგონებთ, რომ ეს საგნები დედა ბოძია და საძირკველიც სკოლის მომავალ ბედისა და იღბლისა. მხოლოდ ერთი საგანი ამათ შორის გადაწყდა დღეს ყველას სასიამოვნოდ: ამოირჩიეს ერთხმად სკოლის მზრუნველად ბ-ნი ხოჯაევი. რაც შეეხება სკოლის მმართველს—იგი გუბერნატორის (საზოგადოების თავმჯდომარეა) რჩევით გადადებულ იქმნა მარიამობისთვემდე. რადგან ეს საქმე ასე გადაწყდა და სკოლის თავდაპირველი მოწყობა და ბაღში საჭირო მუშაობა აკისრეს ახლად ამორჩეულ მზრუნველს, მან მოითხოვა ეხლავე აერჩია საზოგადოებას ერთ-ერთი მასწავლებელი მისდა შემწედ, დამხმარებლად.

საზოგადოება ამაზე დასთანხმდა და ერთხმად აირჩიეს ბ-ნი მორბედაძე, რომელსაც შარშან დაუსრულებია მოსკოვის სამეურნეო აკადემიის კურსი.

დიდი ბაასი გამოიწვია წესდების ერთის მუხლის შემუშავებამ, სახელდობრ, იმ მუხლისამ, რომელიც შეეხება შეგირდების მიღებას.

აქ საჭიროა მოვაგონო მკითხველს ერთი გარემოება. თვით სკოლის სახლის აგება და ყოველ წლიური ხარჯი სკოლაზე იტვირთა ქუთაისის თავად-აზნაურობამ და გლეხ-კაცობამ. პირველი მათგანი იძლევა მესამედს—მეორე ორ წილს. მართებლობა ეწევა სკოლას ნორმალურის წესდების ძალით, 3,500 მანეთით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ნაირ სკოლას მოსამზადებელი კლასებიცა აქვს, და მხოლოდ 2,500 მანეთით, როცა ეს უკანასკნელი არ არის. ეხლა თუმცა ჩვენ სკოლას მოსამზადებელი კლასები არ ექმნება, მაგრამ საზოგადოება მაინც იმედოვნებს, რომ გამოითხოვს სავსებით მართებლობისაგან დანიშნულს შესაწირავს.

სკოლაში შეგირდები ზოგნი (45) სკოლის სრულს ხარჯზედ იქმნებიან და ზოგნი (60-მდე) მოსიარულედ, რომელთაც წლიურათ გადაჰ·ედებათ 60 მანეთი და ექმნებათ სკოლისაგან ყოველ-ნაირი სამოსწავლო ნივთები და სკოლაშივე საზრდო. ხარჯის გაღებისა-და კვალად სამართლიანი იქნებოდა, რომ ის 45 შეგირდი, რომელნიც სრულიად სკოლის ხარჯზე უნდა იქმნან, ერთი წილი (15 შეგ.) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილი იყოს და ორი წილი (30 შეგ.) იმავე გუბერნიის გლეხ-კაცობისა, მაგრამ საზოგადოებაში წარმოსთქვეს ზოგიერთ წევრთა აზრი და ამას დაეთანხმა ბ-ნი გუბერნატორიც, რომ საჭიროა რამდენიმე ადგილი დაუთმოთ სხვა გუბერნიებიდამ, როგორც მაგალითებრ, შიდა რუსეთიდამ მოსულ მოხელეების შვილებს, თუ-კი ისურვებენო.

უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ ეს სკოლა სოფლელებისათვის უნდა იყოსო, რადგან ქალაქში მცხოვრებთათვის სხვა ბევრი წყარო არის მათის შვილების გამოსაზრდელადაო.

დიდის ხნის ბაასის შემდეგ, რადგან ვერაფერ საბოლოვო აზრს ვერ დადგა საზოგადოება, ამ მუხლის შემუშავება მიენდო კომისიას, რომელსაც ერთხელ კიდევაც ჰქონდა იგი მინდობილი შესამუშავებლად. ამ კომისიასვე მიანდეს ოსტატების შტატის შედგენა და მათთვის ჯამაგირების დანიშვნა. ეხლა ნორმალურის წესდების ძალით, ძლიერ მცირე ჯამაგირები აქვთ დანიშნული, როგორც ოსტატებს, ისე სკოლის მმართველს. საზოგადოებამ ერთხმად წარმოსთქვა ის აზრი, რომ ასეთის მცირე ჯამაგირით რიგიანს, ბეჯითს კაცებს ვერ ვიშოვნითო, და დაავალა კომისიას, რაიმე წყარო აღმოაჩინე ჯამაგირების მოსამატებლადაო.

კ. ბ—ძე

## ხმა სოფლიდამ

### სათავად-აზნაურო სკოლის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნება მიბოძეთ, მეც მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ საყურადღებო საგნის შესახებ.

საზოგადოებამ მოისმინოს სიტყვა ერთის სოფლად მცხოვრების ღარიბის აზნაურშვილისაცა. ყველგან და ყოველთვის კაცი უფრო იმასა სცდილობს უპირველესად, რომ ქონება შეიძინოს და იცხოვროს მოსვენებით, გაუჭირვებლად. ამ სახით, პირველი საჭიროებაა ნივთიერი შეძლება, უზრუნველი და უყვედრი ლუკმა-პური. პირველობა და უაღრესობა ამისი იმდენად დიდია, რომ საზოგადო და კერძო ზნეობა ამ ნივთიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ქვეყნის სიღა·იბესა დ სიმდიდრეზეა დამოკიდებული რიცხვი დანაშაულობისა, ავ-კაცობისა. სამოსამართლო სტატისტიკა გვიმტკიცებს რომ ასს დანაშაულობაში 75% ისეთი დანაშაულობაა, რომელიც მიმართულია სხვის საკუთრების წარსატაცებად, მისათვისებად, ხოლო 25% დანარჩენი დანაშაულობანია. ნივთიერ მდგომარეობის განკარგებისათვის, საჭიროა ცოდნა, მეცნიერება, ისეთი ცოდნა, რომელიც უფრო მარჯვედ, უფრო მოხერხებით და მეტის უტყუარობით შეგვძენს ქონებას, უზრუნველ ლუკმა პურს. ასეთია რეალური ცოდნა და სწორედ ამ ცოდნასა და მეცნიერებას უნდა მივაქციოთ ჩვენც უმთავრესი ყურადღება, როცა ჩვენის შვილების სწავლა-აღზრდა გვაქვს სახეში. ჩვენის თავად-აზნაურობისათვის უფრო მეტად საჭიროა, ვიდრე სხვისთვის, ისეთი მეცნიერება და ისეთი ცოდნა, რომლის შემწეობითაც ადვილია ნივთიერ მდგომარეობის განკარგება. თავად-აზნაურთა საქართველოში ჯერ კიდევა აქვთ დიდი მამულები, დიდი და აურებელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც სამწუხაროდ, მკვდარ თანხადა ძევს. ამ მამულებში მოდის საუკეთესო პური, ამ მამულებშია დიდი სათიბი და საძოვარი ადგილები, რომელიც ასე საჭიროა საქონლისათვის, ამ მამულებში იზრდება ხილი, ყურძენი, თუთის ხე, მაგრამ რა გამოვიდა? საქონლის მოშენება არის მართალია, მაგრამ საბრალო ყოფაშია; ხვნა-თესვაც არის, ვენახებიცა, მაგრამ ძველის-ძველის წესით სწარმოებს.

რა-კი ასეთია ჩვენი გარემოება და ვითარება, ცხადია, რომ თავად-აზნაურობისათვის უმეტესად საჭიროა სამეურნეო-სატეხნიკო სკოლა. თავად-აზნაურობის ვალია, როგორც უმაღლესის წოდებისა, მისცეს თავის ერს, თავის სამშობლოს უკეთესი მაგალითები სხვა-და-სხვა გვარის ეკონომიურ წარმოებისა.

იქნება მკითხველმა სთქვას, რომ პეტერბურგსა დ მოსკოვში არის მაგისთანა სასწავლებლები და საქართველოში რაღად გვინდა, რომ დავაარსოთ. ჯერ ერთი, რომ იქ ვაკანსიების რიცხვი ძალიან ცოტაა; მეორე, იქ წასვლას დიდი ფული უნდა, რომელიც თავად-აზნაურობას არა აქვს. მესამე, მაგ სკოლებში შესვლისათვის საჭიროა გიმნაზიის ანუ რეალურ სკოლის გათავება. ესეც შეუძლობლის გამო ძნელია, და მეოთხე, მოსკოვისა და პეტერბურგის აგრომიული სკოლები, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, ჩვენ ნაკლებად გამოგვადგება. როგორ უნდა შეისწავლოთ თუთის ხის მოვლა და აბრეშუმის კეთება პეტერბურგში, როდესაც იქ ძლივ იზრდება არყის ხე? როგორ უნდა გაიცნოს მოწაფემ კულტურა სხვა-და-სხვა ხორბლისა და საერთოდ ყოველ იმ მცენარესი, რომელიც პეტერბურგში იზრდება, რადგან იქ მიწა ცარიელი თიხაა. მართალია, ხორბალი, სიმინდი და სხვა გვარი ნაზი მცენარე მოჰყავთ იქ კვლებში, მაგრამ, დამეთანხსეთ, რომ ეგ სწავლა-კი არ არის, შექცევაა და აგრონომი, რომელიც მეურნობას ისწავლის „ორანჟერეაში“, „პიტომნიკში“, ჩვენ არ გამოგვადგება.

ეხლანდელ სათავად-აზნაურო სკოლის წინააღმდეგ ხმასაც არ ამოვიღებდით, რომ მაგასთან ისეთი სხვა სკოლებიცა გვქონდეს, საცა შეიძლებოდეს სამეურნეო და სატეხნიკო ცოდნის შეძენა. დღევანდელი სკოლა-კი უმრავლესობას არ აკმაყოფილებს. უმეტესობა თავად-აზნაურობისა ღარიბია. ამიტომ საზოგადო ფულით ჯერ-ჯერობით უნდა დაარსდეს ისეთი სკოლა, რომ უმეტესობას თავად-აზნაურობისას ხელი გაუმართოს. ვსთქვათ, ყმაწვილმა გაათავა კიდეც ჩვენი სკოლა და გიმნაზიაში ეგზამენიც დაიჭირა. მერე იმ გიმნაზიაში რა ფულით უნდა ისწავლოს ყმაწვილმა, როგორ იცხოვროს, კიდევ სულ ცოტა ოთხი წელიწადი როგორ აძლიოს სწავლის ფული? ამიტომაც მან-დედგან წარმოვიდგინოთ, რომ ღარიბმა აზნაურმა, რომელთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე შეძლებულისა, უკანასკნელი ჩოხა დააგირავა გაჰყიდა უკანასკნელი მამული და მისცა ღონისძიება თავის შვილებს განაგრძოს სწავლა და დაასრულოს გიმნაზია. მერე, გიმნაზიიდამ გამოსულს რა ცოდნა აქვს, რა პროფესიას შეუძლიან მომკიდოს ხელი? მაშ საჭიროა მაღალის სწავლის მიღება, მაგრამ რითი, რა ღონისძიებით?

მეტი ღონე აღარ არის, უნდა ადგეს და რომელიმე სამსახურს მიაშუროს. მაგრამ სამსახურში გიმნაზიის განათლებით, მოგეხსენებათ, კაცი შორს ვერ წავა.

აი ამ ნაირ ღარიბთათვის უნდა დაარსდეს ისეთი სკოლა, რომ ოთხისა თუ ხუთის წლის განმავლობაში მოწაფემ შეიძინოს ცოტაოდენი დამთავრებული ცოდნა და უნარი თავის პატარა მამულის მოვლისა და განკარგებისა, რომ ამ მცირე მამულიდამ იმდენი შემოსავალი აიღოს, თვითონაც იცხოვროს, მშობლებსაც ხელი შეუწყოს და მეზობელ გლეხკაცობასაც თვალი აუხილოს.

ისეთი სკოლა რა სარგებლობას მოგცემს, რომელიც უმრავლესობას სწავლას ვერ განაგრძობინებს, ვერც გიმნაზიაში და ვერც უმაღლეს სასწავლებელში; ისეთი სკოლაა საჭირო, რომელმაც უმრავლესობას მისცეს რამ მცირედი მაინც ცოდნა, ცხოვრებაში გამოსაყენებელი და მამულის მოვლისათვის საჭირო. დაიარეთ სოფლები და, ვინ იცის, რამდენსა ჰნახავთ სრულიად უსწავლელს, არაფერის მცოდნეს, მამულის მოვლაზე გულ-აყრილს. აი ამისთანათა რიცხვი უნდა შეამციროს საზოგადო ფულით დაარსებულმა სკოლამ, უნდა შეამციროს იმიტომ, რომ ისინი არც თავიანთ თავს არგიან, არც დედ-მამასა და არც სხვას ვისმე. უფრო ავ-კაცობას მისდევენ, ხმალსა და ხანჯალზე იცქირებიან და ხშირად სხვის საკუთრებაზედაც იწევენ, რისთვისაც სასამართლოშიაც-კი ამოჰყოფენ ხოლმე თავს. ეს დიდი ბოროტია სოფლისა, დიდი ჭირია თავად-აზნაურობისათვის და ამას უნდა დასდოს წამალი ჩვენმა სკოლამ.

ეხლანდელს სათავად-აზნაურო სკოლას, ვინ ამბობს, მოაქვს სარგებლობა უფრო უმცირესობისათვის, იმ თავად-აზნაურთათვის, რომელთაც შეუძლიანთ მაგ სკოლის გათავების შემდეგ მისცენ თავიანთ შვილებს ღონისძიება გიმნაზიის დასრულებისა და მაღალ სასწავლებლებში სწავლისა.

ორიოდეს სიტყვას მოგახსენებთ ახლა იმ წერილის შესახებ, რომელიც დაჰბეჭდა პატივცემულმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ მამაცაშვილმა გაზ. „კვალის“ მე-4 ნომერში. ჩვენი სახელოვანი მოხუცი ბრძანებს იმ წერილში.

„35 წლის წინად მთავრობამ გაჰმართა ლოჭინში სკოლა სხვა-და-სხვა განყოფილებებით; იქ ასწავლიდნენ აგრონომიას, მევენახობასა, ხეხილისა და საქონლის მოვლას. სკოლა კარგად იყო მოწყობილი, ჰქონდა ახალ-ახალი გუთნები, სხვა-და-სხვა ნაირი მამულის მოვლისათვის საჭირო მაშინები, თავისი ვენახი, ხეხილის სკოლა, 400 დესეტინა მიწა და სხვ. მოწყობილობა; ჰყავდა აგრედვე მუშა და მეწველი საქონელი. მასწავლებლად ამ სკოლაში საუკეთესო აგრონომები იყვნენ. ერთის სიტყვით ხაზინა სკოლისათვის კარგ ძალ ფულს ჰხარჯავდა, სკოლამ 15 წელიწადი გასძლო და ამ ხანში 300-დე შეგირდი სწავლობდა მასში. მერე რა ნაყოფი მოგვიტანა ამ ჩინებულად მოწყობილმა სამეურნეო სკოლამ? ფრიად სამწუხაროა. სკოლამ არ აღზარდა არც აგრონომი, არც ვენახის მომვლელი, არც ხეხილისა და არც საქონლის მომვლელი; არც ერთი გაუმჯობესებული მაშინა ან გუთანი არ შემოგვაღებინა ჩვენს მამულებში. სკოლის შეგირდებს ნიშან წყალიც არ ეტყობოდათ აგრონომიულ სწავლისა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ საზოგადო სწავლა არა ჰქონიათ მიღებული და როგორც განუვითარებელთ ვერა შეითვისეს-რა სპეციალურ სკოლაში“.

არ ვიცით, როგორ უნდა მომხდარიყო ესეთი ამბავი. მხოლოდ ერთი რამ უნდა ვიფიქროთ, სახელდობრ ისა, რომ ლოჭინის სკოლამ თუ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, უთუოდ იმიტომ რომ ვერ იყო კარგად მოწყობილი. სხვას ვერას დააბრალებს კაცი ლოჭინის სკოლის უნაყოფობას. საზოგადო სწავლას თავისი ადგილი აქვს და რომელსამე პროფესიას, ხელობას—თავისი. უსაზოგადო განათლებითაც შეიძლება კაცი იყოს კარგი ხელოსანი, რასაც ვხედავთ კიდეც დღეს ჩვენს ოსტატებ შორის. დიდმა უმრავლესობამ მათ შორის წერა-კითხვაც ძლივს იცის, მაგრამ ურიგო ხელოსნები არა გვყავან, თუ დურგლები, თუ ჩილინგდრები, თუ კალატოზები, მჭედლები და თუ სხვანი. რასაკვირველია, კარგია, რომ ჯერ ისწავლოს კაცმა, საზოგადო განათლება მიიღოს და მერე ხელობა შეისწავლოს; უფრო კარგია, რომ უნივერსიტეტში გაათავოს კურსი და მერე სპეციალური ხელობა ისწავლოს. მაგრამ თუ ეგ არ შეუძლიან კაცს, რომელისამე მიზეზების გამო, ამას არაფერი არ დაუშლის უსაზოგადო სწავ-

ლითაც ხელოსანი გამოვიდეს, ხელობის მცოდნე იყოს, თუ ოქროს ხელი არა, ვერცხლისა და რკინის ხელი მაინც ჰქონდეს, ისეთი ხელი, რომლის წყალობითაც არას დროს ლუკმა პური არ გაუჭირდეს და თავისმა ოსტატობამ, თავისმა ხელობამ აცხოვროს.

რაიცა შეეხება ტფილისის სახელოსნო სკოლას, უნდა ვსთქვათ, რომ ავტორის თქმას, წელიწადში სულ შვიდი მასტერი გამოვა იქიდამაო, ცოტა არ იყოს, განმარტება ეჭირვება. მაგავე ათს წელიწადში სკოლიდამ გამოვიდა 78 ქარგალი „პოდმარტერი“, რომელნიც იგივე ხელობისა და ოსტატობის მცოდნენი არიან. ქალაქის სახელოსნო სკოლა ყველას, ვინც-კი ათავებს კურსს, აძლევს მოწმობას ქარგლისას, ხოლო, თუ ვინიცობაა, რომელიმე მოწაფე ისურვებს კურსის გათავების შემდეგ დარჩეს კიდევ ერთი წელიწადი იმავე სკოლის ქარხნებში, მაშინ მოწმობაში უწერავენ „მასტერიაო“.

დღემდე სახელოსნო სკოლაში გაუთავებიათ კურსი 85 მეტს. ერთ ხანად მე თვითონ მასწავლებლად გახლდით მაგ სკოლაში და, როგორც მახსოვს, 1883 და 1884 წელსა გაათავა კურსი იქ ოსტატისა და ქარგლის ღირსებით 15-მა ყმაწვილმა კაცმა. აი მათი გვარი: ორნი ძმანი ინაშვილები, საუკეთესო დურგლებად გაათავეს; ერთს დღეს საკუთარი აქვს ქარხანა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, მეორე ოსტატად არის იმავე ქალაქის სახელოსნო სკოლაში. ორნი ძმანი გელაშვილები—დურგლებად (столяръ) გაათავეს; ყაზაროვი; გიორგობიანი (ჩილინგდრად გაათავა) დღეს მაშინისტის თანაშემწე გახლავთ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე; მუსხელოვი, დურგლობა ისწავლა, დღეს მსახურობს იმავე რკინის გზის დეპოში; სტეფანიანცი—დურგლად გამოვიდა და დღეს საფაროვის თამბაქოს ქარხანაში ყუთების ქარხნის ზედამხედველია; პოლოსიანცი—ჩილინგრად გაათავა, ამ ჟამად საკუთარი ქარხანა აქვს ჯალალოღლაში; არასხანიანცი—დურგლად გაათავა, დღეს არზრუმის სკოლაშია, რომელსაც ქარხანა აქვს და იქ მასწავლებლად არის თავის ხელობისა; ნალბანდიანცი, პეტროსიანცი — ორთავემ ჩილინგრად გაათავეს, დღეს არიან ს. ავჭალაში, ქალაქის წყლის მაშინაზე მაშინისტებად. ორნი ძმანი კუზმინები—ორთავემ ჩილინგდრებად გაათავეს, ერთი მათგანი დღეს მაშინისტად გახლავთ რკინის გზაზე, მეორე ერთის წლის სამსახურის შემდეგ გარდაიცვალა რკინის გზაზე.—იკითხეთ ახლა ამ ოსტატებისა და ქართლების ცხოვრება. გარწმუნებთ, რომ ბევრს თავად-აზნაურს შეშურდება: თვითონაც სცხოვრობენ, ცოლშვილსაც ინახამენ უზრუნველად, თავიანთ ღარიბ დედ-მამასაც ეწევიან და ხელს უმართამენ, რომელთაც იქმნება სიღარიბეში სული ამოსვლიყოთ, შვილები რომ არ მოსწრებოდნენ. კვირაუქმით სუფთად ჩაცმულნი დაიარებიან. როდესაც ზემოხსენებულნი ყმაწვილნი სწავლობდნენ, მახსოვს, თითქმის ფეხ-შიშველნი, დაგლეჯილის ტანისამოსით დაიარებოდნენ სიღარიბის გამო.

მ. ქანანოვი

ს. ბრეთი (გორის მაზრა).
1893 წ. 12 აპრილსა.

## წვრილი ამბავი

გუშინ, შუადღისას, მე-7 პოლიციის ნაწილში, წყაროს უბანში, ხოჯივანქის მახლობლად მაიმუნმა საშინლად დაკბინა თავისი პატრონი ტფილისის მცხოვრებელი გრიგოლ ასკაროვი; მაიმუნმა თურმე აიწყვიტა ჯაჭვი, გაექცა ასკაროვს და იქვე ეზოში ავიდა ხეზედ, ორი დღე იქ იყო და მერე, როგორც იყო, ჩამოიყვანა პატრონმა, სცემა და ისევ ჯაჭვით დააბა. თვითონ დაჯდა და რაღასაც კეთება დაუწყო. ამ დროს ხელ-ახლა აიწყვიტა მაიმუნმა ჯაჭვი, ეცა ასკაროვს, ხელები დაუღრღნა და პირზედაც უკბინა. მოცვივდა ხალხი, პოლიციელები და ძლივს მოაშორეს. მაიმუნი ისევ ხეზედ ავარდა. პოლიციელმა მაიმუნი რევოლვერით მოჰკლა და წაიღო შესამოწმებლად, ცოფიანი ხომ არ არისო. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

— ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთი პროფესორი ჩერაზი ამ დღეებში გლადსტონმა ინახულა. ჩერაზი ტომით სომეხია და ამ ხუთის წლის წინად სტამბოლიდგან გამოქცეულა ინგლისს, რადგანაც ოსმალეთის მთავრობა შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდა. ეხლა, როგორც ამბობენ, ჩერაზსა და გლადსტონს ლაპარაკი ჰქონიათ სომხების მდგომარეობაზედ ოსმალეთში. გლადსტონს უთქვამს თურმე: ღმერთს ევედრეთ, რომ ირლანდიის ჰომარული შეწყნარებულ იქმნას და მერე პირობას გაძლევთ, ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარ თქვენის ერის უოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვისაო. გლადსტონის სიტყვები ხონთქარსაც გაუგია თურმე.

— კარგა ხანია, რაც გამოჩენილი პროფესორი ფილოლოგი გარიერი ამერიკიდგან გაემგზავრა აფრიკაში მაიმუნების ენის შესასწავლად. ამ დღეებში ძმასა სწერს თურმე, ჯერ 200 სიტყვამდე ვისწავლე მაიმუნურის ენისაო. ოცდა-ათსი ტყავზედ მეტი უფრო გარკვევით ითქმის, მაგრამ ფონოგრაფში გადაღება-კი ჯერ ვერ მოვასწარიო. მყავს ეხლა რამდენიმე ჯურა მაიმუნი: ერთი შიმპანზე, რომელიც მკაფიოდ მეუბნება ხოლმე: „დილა მშვიდობისა, უცხოელო,!“ ერთი გორილა, რომელმაც ოცზედ მეტი სიტყვა იცის ფიჯიის ენაზედ, და ერთი ორანგუტანგი, რომელსაც ჩემმა მსახურმა რამდენიმე გერმანული სიტყვა დაასწავლაო.

# დეპეშა

22 აპრილი

**ბერლინი.** მობრძანდა თუ არა იმპერატორი, იმ წამსვე ინახულა კანცლერი და იმანაც დღეს დილით წარუდგინა მოხსენება მის უდიდებულესობას. საღამოზედ კაპრივისთან სადილად მიწვეულნი არიან მინისტრები, სტატს-სეკრეტრები და რამდენიმე წევრი რეიხსტაგისა. სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ კენჭის ყრა, უეჭველია ხვალ მოხდება. ამბობენ, რომ იმპერატორმა შეიწყნარა კაპრივის თხოვნა და დათანხმდა რეიხსტაგი დაითხოვოს, თუ ვინიცობაა სამხედრო კანონ-პროექტი არ იქმნა დამტკიცებული.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დისკონტი $2^1/_2\%$-დგან $3\%$ ასწია.

**ვენა.** აქაური პოლიტიკური დასები ძლიერ შიშობენ, იქნება გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტი არ იქმნას შეწყნარებულიო. შიშობენ თუ მართლა ასე მოხდა, ბერლინის კაბინეტი ავსტრიევენგრიას ძალას დაატანს და ჯარების მომატებას ითხოვს, ან არა და ეცდება რუსეთს დაუმეგობრდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,67}$ | $7_{,70}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153 | 154 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | $1_{,66}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | $99_{,66}$ | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $99^3/_4$ | — ,, |


# განცხადებანი

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება
წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში
საქართველოს კალენდარი
1893 წლისათვის
ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)
კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.
უბის წიგნი 1893 წლისთვის
„სულ გაიყიდა“
ქართული
მიწერ-მოწერის კრებული
ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)
ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—46)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემა
თხზულებანი
**აკაკი**
წერეთლისა
ტომი I ლექსები
გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას
გასასყიდად
ფასი 1 მან.

# რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მოგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თთვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—16) აგენტი დ. ქ. თუმანოვი.

# მ მ ქ ა რ ხ ნ მ მ ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**ბენდერ-სტეფანოვი**

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.
ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.
სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.
ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.
სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.
მზა-მზარეულის სარფინკის ტანისამოსი.
პერანგები კაცისა:
„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
საცვლები მანდილოსნებისათვის:
პერანგები, კოფთები და კალსონები.
ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—25)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, მის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცახადბა მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Апреля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.